

# თავისუფალი საქართველო

№ 8

14 - 20

თავისუფალი საქართველო

1995 წ.

ფასი 700 რუბლის შესაბამისი კუპონი

0502000 66421

სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER

TAVISUPALI SAKARTVELO

(FREE GEORGIA)

## რედაქტორის სვეტი

ამ დიდმარხვაში იმდენი ცოდვა დატრიალდა კაცკასიაში...

უსიხარულო საქართველოშიც მოდის აღდგომა.

მერამდენე საუკუნეა ჩვენი ქვეყნის ერთგული შვილები სასოებით აკვირდებიან ჯამბაზულას, ცდილობენ ბუნების კანონების ციკლურ ბრუნვაში თავისი ქვეყნის ბედი ამოიცნონ. შემოდგომა, ზამთარი, გაზაფხული - ცვლილის და აღდგინების დიადი მისტერია.

გაზაფხულის პირვე, აღდგომას, სიცოცხლის ძაღვები უტყუარად სძლევენ ჭკნობას, სიკვდილს, უნაყოფო ზამთრის დაძვლებულ ერთგურობებს.

ორი მშვენიერი დღესასწაული - ხარება და ბზობა ამხელს ყველაზე დიდი საიდუმლოს განხორციელების ეპოსს. გაჩევის და გაახლოვების მთავარი დღესასწაულის გარდუვალობის განცდას.

ბზობა, ვნების კვირა, აღდგომა.

ერთ მზიან კვირა დღეს მთელი ქვეყანა ბზის მწვენი შტოებით აივსება - ყველა ოჯახში შვეა გაზაფხულის კეთილი სურნელება და იცი... სულ მალე აღდგომას იხეივებ.

ამ დიდმარხვაში კაცკასიაში სისხლის ზღვები დაიღვრა.

საქართველო ელოდება აღდგომას.

მერამდენე საუკუნეა, ჩვენს ღამაზე ქვეყანაში მოდის გაზაფხული, დგება ბზობა, გარემო დიდი გამარჯვების მოლოდინით ივსება და მერე თითქოს ირევა სამკაროს კანონები, დიდხანს, უსასრულოდ დიდხანს გრძელდება ვნების კვირა... არ იღუვას სისხლი, დღაღი, ტკივილი, დამცირება, ტანჯვა, ცრემლი...

მოდინ, გრუხავენ, გელავენ, გწამლავენ. გისპობენ მოლოდინს მომავლისას.

9 აპრილი და 26 მაისი - ორი განუხორციელებელი დღესასწაული. ვნების კვირით დაორგუნული თავისუფლება, რომელიც არ შედგა.

წელს 9 აპრილმა უდიდესად ჩაიარა. მერიის განკარგულებით გამოკიდებული თითო-ორთა დროსა ამბავრება ტკივილის განცდას. უსიხარულოდ ფრიადება ოდესღაც ასე ნატური შინდისფერი დროსა ორ-სამ მოუვლელ აივანზე.

აფხაზეთში და სამხაბლოში არავინ დარჩა, ვინც სახლში მარცხ, წუხად, საიდუმლოდ გაშლიდა დროსას - სიმბოლოს საქართველოს სახელმწიფოებრიობისას.

ამ დიდმარხვაში ვოჯოხეთის: ცეცხლი მტინვარებს კაცკასიაში.

დარდით დაძიმებულ საქართველოს 1995 წლის აღდგომა უახლოვდება.

ჯერ დიდმარხვა.

საქართველოში საუკუნის დამდეგს და დასასრულს ორი წინასააღდგომო დღესასწაული უკვე აღსრულდა - ხარება და ბზობა. საქართველო ორჯერვე აღუთხოვანებით შეეგება ნანატრი ბედნიერების გამოხატებას. ხანძრძლივი, მიმეზარხვის გამო უფრო ელვარეს, უფრო ღირფასს, უფრო კეთილს, უფრო სასუწველს, ვიდრე ჩვეულებრივი სადღესასწაულო თარიღია...

ზამთარი გაიდა.

გაზაფხული ისევ მოვიდა.

ხარება და ბზობა ახლად გამოღვივებული ბუნების მხიარული უბრალოებით დასტურებს აღდგომის გარდუვალობას. წინ ვნების კვირა.

კაცკასიაში უცოდველი სისხლი იღვრა.

ჩვენი კეთილი, ღამაზი საქართველო მობით გამხელელი აღდგომის დღესასწაულს ელოდება.

სინანული? ცოდვითათვის არ არსებობს სინანული. შავი ძაღვებისთვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილმა მართალნი, ქვეყნის ერთგულნი; ენანებათ დღესდღეობით დანაგრული სიმართლე; სწყინო, რომ ვერ მოუპოვეს მას გამარჯვება. დღეს ესენი არიან ნამდვილი მარხულნი, რადგან სულით მარხულობა ბევრით აღემატება ჭკუით მარხულობას.

მართალნი, ქვეყნის ერთგულნი! ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს, ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი

ლაგს. გამომჟღავნება თავის შეცდომისა და ცოდვებისა იგივე გმირობაა. ხოლო ნუ შეინანებთ ნურავინ დახოცილ ნათესავთ, მით უმეტეს საქვეყნოდ. უმსხვერპლოდ არსად რა გაკეთებულა, არც გაკეთდება, ნუ შეინანებთ დანგრეულს და გადამწვარს სახლკარს, რადგან სინანულით არც მკვდრები აღსდგებიან და არც სახლი და კარი განახლდება...

ღმერთმა დაგიფაროთ, ამას ამბობდეთ: ჩემთვის ჭკვიანად რომ ვყოფილიყავ, ხომ არც ეს უბედურება დამემართებოდაო.

## დიდი მარხვა

შეგიშალათ, და ეცადეთ მომავალში აიცადინოთ თავიდან. დაჰკმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა, წვრილფეხა, მხატვ პატივმოყვარეობა, რომელიმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას.

სოფჯერ დამარცხება - გამარჯვებას სვლობია, რადგან ყველასათვის აშკარად გამოჩნდება დამარცხების მიზეზი, ყველა გაიგებს, ყველა შეიგნებს და სამერმისოდ აღარ გაიმეორებს იმ შეცდომებს და უკეთეს ბრძოლის და შრომის საშუალებას მოაპოვებინებს...

ბათვალისწინეთ ყველამ თვითუული თავისი სიტყვა, გადადგმული ნაბიჯი, ასწონ-დასწონეთ. უგარვისი დაიწუნეთ საჯაროდ, ნუ შეგრცხვებათ. სირცხვილი და ცოდვა ის არის, როცა დადამიანი ჭირსა შმა-

ის მადლისა მატლად ქვევა გამოვა, - შმადლში ცოდვის შერევა, მისი გაბათილება. რა დაგვრჩენია ბოლოს? რა ვსოქვით? რა ვიფიქროთ?

დიდი - მარხვა! დიდად მარხულნი ვართ, ჩვენი განა მარტო თვალები? გული და გონებაც ცრემლის მორევში დასცურავს. ვლოცულობთ და ვევედრებით ღმერთს გვექმნას შხედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენი ქვეყნის შვილი, ძალი და ღონე მოგუაროთ, ვუპატრონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკვდრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნისასა, ამინ!

კაქა (1906 წ.)

## აღდგომა

...ოსანა ისმის დასთა, დიადობს სხივთა ფენა, მას ქერუბიმთა დასტა შეეგებება ზენა.

დასთა ქაოსი მძვინვარე, დახსნა სიკვდილის მხარე, აღსდგა სიკვდილში მღვიძარე, ცის შეუმუსვრელი სახე,

სად ვვარი მისი დებულა, ალყავებულა სხვა ხე, ედემად დავანებულა ანგელოსთ მენახე!

დაივინყეს აჩრდილთ მოთქმა და სიკვდილის ტალაკი, განახლებულ კაცთა მოდგმას ერგო საღვთო ქალაქი.

ვის ნყალობა ზეცის თან სდევს მსხვერპლის არდარიდების, ის აღდგომის შარავანდედს შეიმოსავს დიდებით!

რა შვებაა, რა ზარია, აღსდგა ღმერთი სულმნათი, დედამინა ტაძარია, ზეცა - მისი გუმბათი.

ზვიად გამსახურდია (ციკლიდან "კოსმიური წირვა")

## სამაუბი - ცოდვა, რომელიც თარბებს დაამიძებს

მარტის დამდეგს რუსეთის სარდლობამ განაცხადა, რომ დაგეგმილი აქვს ჩეჩნეთში საომარი ოპერაციების მოდიანად დასრულება მიმდინარე წლის 9 მაისამდე, როდესაც მოსკოვში აპირებენ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების 50-ე წლისთავის პოპმესურად, ზარხეიმით აღნიშვნას. მათ მიერ ურცხვად იქნა განცხადებული ისიც, რომ ჩეჩნეთში შეტეობილი რუსული შენაერთები გარკვეულ "სულიერ კომპენსაციას" მიიღებენ 9 მაისის სამხედრო პარადში მონაწილეობით. ამას აცხადებენ მოუხედავად დასაუფეთის პოლიტიკური წრეების კატეგორიული მოთხოვნისა, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გამო, მოსკოვმა უარი თქვას სამხედრო პარადის ჩატარებაზე.

ჩეჩნეთის მთავარი შტაბის, ჩეჩნეთის ინფორმაციის სამინისტროს და უცხოელ დამკვირვებელთა ცნობებით, აპრილის პირველ რიცხვებში რუსეთის არტილერიისა და ავიაციის მიერ იბომბებოდა სოფლები ლესტარჯი, სელვენტაუზი, მასკეტი და სხვ. ეს ის სოფლებია, სადაც თავს აფარებს ელტოლელების დიდი რაოდენობა.

7 აპრილს რუსეთის არტილერიამ დაიწყო ინგუშეთის საზღვართან მჭიდრე სოფლის სამაშის მასირებული დაბომბვა. სოფელში იმყოფება რამდენიმე ათასი ელტოლეილი. რუსეთის სარდლობა სამაშის მოსახლეობისგან მიითხოვდა "კალაშნიკოვი"-ს სისტემის 264 ავტომატის ზაბარებას. რეალურად კი,

მშვიდობიან მოსახლეობას არ გააჩნდა იარაღის ამ რაოდენობის მცირე ნაწილიც კი.

9 აპრილს ადამიანის უფლებათა დამცავი ჯგუფის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ 9 აპრილს მთელი სოფელი ცეცხლის აღში იყო გახვეული. საერთაშორისო წითელი ჯვრისა და საფრანგეთის ჰუმანიტარული ორგანიზაციის მანქანები ორგზის შეეცადნენ სოფელში შესულას დაჭრილითა გამოსაყვანად, მაგრამ რუსებმა არ მისცეს საშუალება. დამკვირვებელნი მოითხოვენ, რომ რუსები იჩუნდნენ გაუგონარ სისასტიკეს. ისინი ცეცხლს ხსნიდნენ მცირე ფაქუნზეც კი. სოფლის ყოველ ქუჩაზე განლაგებული იყო 3-4 ჯავშანტრანსპორტიორი, მიმდინარეობდა პირდაპირი დამიხნებით საცხოვრებელი ბინების დაბომბვა.

ის მშვიდობიანი მცხოვრებლები, რომლებმაც 9-10 აპრილს შესაძლებ სოფლიდან გასვლა, მოითხოვენ, რომ რუსი სამხედროები განურჩევლად ხოცოდნენ ყველას - მოხუცებს, ქალებს, ბავშვებს. ცეცხლის აღშია გახვეული სამაშის თითქმის ყველა სახლი.

რუსეთის სარდლობა იმუქრება, რომ ასევე გაუსწორდება ჩეჩნეთის საზღვართან მდებარე ინგუშთა სოფლებს, სადაც ამჟამად იმყოფება 12 ათასზე მეტი ჩეჩენი ელტოლეილი.

ადამიანის უფლებათა დამცავი ჯგუფის წარმომადგენლები იუწყებიან, რომ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე

აღილი აქვს მიზანდასახულ გენოციდს.

"წითელი ჯვრის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათ საკუთარი თვალთი ნახეს იმ საშინელი ტრაგედიის შედეგები, რომელიც სამაშისში დატრიალდა. ქუჩები მოფენილია გვამებით. შემადრწუნებელია მათ შორის ბავშვებისა და ქალების ამოცნობა. ფაქტობრივად, მთელი სოფელია ამოწყვეტილი. თვითმხილველების თქმით, რომელიმაც როგორღაც გააღწიეს სამაშისიდან, ორასი კაცი დაიღუპა, ხუთასი ადამიანის ბედი უცნობია.

პოლიტოლოგები ხატის ადრიან რუსების მიერ ჩადენილ ამ ენით აუწერელ სისასტიკეს.

პრეზიდენტი ელცინი კი ამ დროს აქვე, ჩრდილოეთ კაცკასიაში იმყოფება დასაცვენებლად. დასაცვენებელ პროგრამაში შედის საღალობო ვიზიტი ნაღიკში, სადაც პრეზიდენტი დაესწრება თავისი სახელობის თასის გათავაშვებას ჯირითში. პროგრამის თანახმად, ბატონ ელცინს საჩუქრად მიართმევენ ყაბარდოული ჯიშის კეცის და მთებში ანადირებენ ჯისეებში.

მეორე პრეზიდენტი, ბატონი ქლინტონი რუსეთში ჩამოსასვლელად ეშაადება. მან და ბატონმა ელცინმა ერთად უნდა მიიღონ რუსეთის ძლევაბოსილი არმიის პარადი წითელ მოედანზე - ვ.ი. ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნდან.



# რა უქნეს ბებარდიას

ბაბრძელებს. დასაწყისი იხილეთ: "გორის ტრაგედია - შემთხვევითობა თუ... (რას უპირებენ ბებარდიას?"; "თავისუფალი საქართველო", N1, 20 ივნისი, 1992 წ.

1992 წლის 13 ივნისს ქ. გორში, ყოფილი საბჭოთა არმიის სატანკო ნაწილის ტერიტორიაზე მოხდა შეტაკება ნაწილის შემადგენლობასა და სახელმწიფო საბჭოს დაქვემდებარებული გვარდიის დაჯგუფებას შორის. მომდევნო დღეებში დაგეგმილი ცხინვალის ალების ოპერაცია ჩაიშალა. 24 ივნისს შევარდნაძემ და ელცინმა დაგომისში ხელი მოაწერეს სამშვიდობო შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის მოგვარების შესახებ, რომლის თანახმად შიდა ქართულში სამშვიდობო ძალების სტატუსით შეყვანილი იქნა რუსეთის ჯარი.

ამ ამბავმა მაშინ შეგვხარა, ვინაიდან ნათელი იყო, რომ ეს ტრაგიკული ინციდენტი ძლიერ აღდგენილი ქართული ჯარის განადგურების დასაწყისს წარმოადგენდა. ალბათ, იმიტომაც, რომ, წინათ-გრძობის მოუხედავად, ვერ წარმოგვიდგინა რაოდენ დიდ მასშტაბებს შეიძენდა ეს ერთი შემთხვევა. ჩვენ მაშინ ვფიქრობდით, რომ ხელისუფალნი უფრო ტექნიკურად იმოქმედებდნენ. შეფარული მანიპულაციებით დაქსაქსავდნენ უკვე გვარიანად დაშინებულ გვარდიას და ადმინისტრირების ხერხებით თანდათან გააქრობდნენ. და არაფერ დაუდგებოდა ქობაზად, ვინაიდან ერთი მას იყენებდნენ საკუთარი მიზნების მისაღწევად იარაღად და როგორც კი ეს იარაღი მათ უსაფრთხოებას დაემუქრებოდა, უმაღლესი მოხელეები (რაც მოხდა კიდევ); მეორენი კონკურენტულად თვლიდნენ, მესამენი - არა იმდენად საშიშ; რამდენადაც უსარგებლო და უკონტროლო ძალად, ხალხი კი - ქვეყნის დამამხობლად. ერთი სიტყვით, ეს გახლენილი, დაქსაქსული, არადისკრიმინირებული, არაპროფესიონალური, სახელგატყხილი, საკუთარ ხალხთან და სხვადასხვა ფორმირებებთან დაპირისპირებული შეიარაღებული წარმონაქმნი ყველაფერს პრობლემებს ქნის.

გვარდიას მხოლოდ ერთი პატრონი ჰქონდა: ადამიანი, რომლის ძალისხმევითაც ნახევარი საქართველო შიმშილობდა, რათა ქართველ ახალგაზრდებს ქართულ ჯარში ემსახურათ; რომელიც, მისივე მოთხოვნით მთელი სსრკ-დან გამოწვეულ ბიჭებთან ერთად, ქნისდა პირველ ქართულ საჯაროსო ნაწილებს; რომელმაც თავისი ხარჯით უფიდა ფარავები ერთ-ერთი პირველი ბატალიონის - საჩხერის ჯერ კიდევ უიარაღო მებრძოლებს. დღითისა თუ განგებობის ძალით, 13 ივნისს გორში სწორედ საჩხერელები გაიწვირნენ. ის კი, ვისაც გვაიდიის დაშლამ დაბრალდა და ამისთვის განდევნა, არ ცხრებოდა, მიმართავს მიმართავს აფხაზებს, აფრთხილებს - გონს მოეგეთ, წუ ეგლობთ შხაკერებს, დადგით ხალხის მხარეს.

მაგრამ პროცესი უკვე დაწყებული იყო და შედეგი, ალბათ, გარდუვალი.

13 ივნისის გორის ტრაგედია ესაა ფაბულა, რომელზეც აეგო ყველა შემდგომი სისხლიანი წარმოდგენის სცენარი და მასში უკვე გამოყენებული იქნა რუსულ-ქართული მოკავშირეობის ყველა კლასიკური ელემენტი: რუსების შირიდან დახმარების დაპირება, საფასურის აღება, პირობის გატყუება.

მოტყუებული და შუბლგახერცილი ქართველები, რომლებსაც საკუთარი მხარეც კი დაშინავევად მიიჩნევს, შედეგად - სამანაბლოში დაკეცილი სამხედრო ოპერაცია ჩაიშალა და ყველაფერს დაეპატრონა ყოველთვის მართალი რუსი, თავის ოს მოკავშირეებთან ერთად. სქემა ნაცნობია ტოტალტერორის დროიდან.

არსებობდა იგივე მეორედბოლა აფხაზური კონფლიქტის ყველა ეტაპზე, მხოლოდ უფრო დიდ და შეზარატ მასშტაბებში. ქართული მხარის ხელმძღვანელობა კი არასდროს ყოფილა მოტყუებული, არამედ თავად ბრძანდებოდა სისხლიანი ფარის ერთ-ერთი აქტიური მონაწილე. ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლის მოწოდებები, აფხაზეთის მოსახლეობისა და მებრძოლების პატრონული გრძობებით მანიპულირება მომგებიან ფორს უქნისდა წინასწარვე მარცხისთვის განწირულ ომს, რომლის განმავლობაში, ქალაქების სრული და ტერიტორიების დათმობის ფონზე, მეომარი მხარეების უმაღლესი მთავარსარდლები პერიოდულად ხდებოდნენ ერთმანეთს და ხელს აწერდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებებს.

კონფლიქტის ყველა ეტაპზე თბილისის მმართველები სახავდნენ იდეოლოგიურ მიზანს, რომლის განხორციელებასაც ეწირებოდა ათასობით ქართველი მეომარი და მშვიდობიანი მოსახლე. დასაწყისში ეს იყო მდ. ფსოლზე დაუბრკოლებელი გასვლის გარანტია, შემდეგ გავრის დაბრუნება 3 სექტემბრის შეთანხმებით, შემდეგ სოხუმის გადარჩენა 14 მაისის შეთანხმებით, შემდეგ ომის დამთავრება 27 ივნისის შეთანხმებით და ა.შ. დღეს, რუსეთის ბაზების საქართველოს ტერიტორიაზე განლაგების ხარჯზე, პირდებან რუსეთის დახმარებას მის მიერვე განდგურებული ქართული ჯარის მშენებლობაში და, რაც მთავარია, შიდა ქართლისა და აფხაზეთის დაბრუნებაში. ამის თაობაზე უკვე ხუმრობენ კიდევ - გამოდის, რომ ჩვენ კი არ შემოვიერთებთ სამანაბლოსა და აფხაზეთს, არამედ თვითონ შევუერთდებით ოკუპირებულ ტერიტორიებს.

საკითხავია, მოჰყვება თუ არა ამ ახალ გარიგებას მორიგი სისხლიანი პროვოკაცია? შესაძლოა, მაგრამ ქართული ჯარი, ალბათ, მასში ვერ ჩაერგება, ვინაიდან იგი ფაქტობრივად არ არსებობს.

აფხაზეთის მარცხის შემდგომი ეტაპი იყო გვარდიის მოქმედ თუ ყოფილ ლიდერთა მოცილება.

როგორც ვხედავთ, გორის სქემა ამ შემთხვევასაც მიესადაგება - გვარდიის ხელმძღვანელობის პირველი მსხვერპლი ხომ გორში დაღუპული ბ.კუთათელაძე აღმოჩნდა. გ. ყარყარაშვილი მაშინ არ გაიწვირა, ალბათ, იმიტომ, რომ ჯერ კიდევ შესასრულებელი ჰქონდა აფხაზეთში თავისი მისია, რომელიც ფსოლს წყლის რიტუალები უქმნით დაიწყო და სოხუმის ჩაბარებით დაგვირგვინდა.

ამ მიჯნაზე გადასვლის შემდეგ აღარავის სჭირდებოდა არც ყარყარაშვილი და არც აფხაზური ბატალიონის სხვა მოქმედი - ნ. კეკელიძე, გ.გულუა, პ. დათუაშვილი, კ. ჩალაძე; ყარყარაშვილი ნახევრად გადარჩა, კიტოვანი დაპატიმრებულია (ან იქნებ თავდაცვის მიზნით თავიცი კი დააპატიმრებინა), მასთან ერთად დაკავებულია ათეულობით მებრძოლი, სხვანი იმეხნებიან და, ვინ იცის, რამდენი უსახელო მეომარი გაიწვირა ჩვენთვის უცნობ ვითარებებში.

მითავითვე ნათელი იყო, რომ გვარდიის გახლეჩა და ამხედრება კანონიერი ხელისუფლების, საკუთარი ხალხისა და ქვეყნის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ იყო.



მეგ, თავად გვარდიის დაშლით დასრულდებოდა. 1993 წელს, ერთიანი ქართული ჯარის შექმნის საბაბით, გვარდია გაუქმდა. კიდევ მაგრამ, დასავლეთ საქართველოში კანონიერი ყოფილი გვარდიის გაძლიერებამ, როგორც ჩანს, იმდენად შეაშფოთა თბილისის ხელისუფლება, რომ კანონიერ სტრუქტურასთან დასაპირისპირებლად გადაწყვიტეს პარალელურად აღდგენა და თვითონვე დაეხმარნენ მათთვის იმხანად უკვე არასასურველ კიტოვანს. დღეს გვარდიის საკითხი საერთოდ აღარ დგას, ხოლო ქართული ჯარი რუსეთმა უნდა შეგვიქმნას.

ვის არ ახსოვს რა მძაფრი რეაქცია მოჰყვა 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებამდე ზვიად გამსახურდიის ტელედასწავარს ამიერკავკასიის შტაბის ერთ-ერთ სამხედრო ხელმძღვანელთან, რომელშიც მან განმარტა ერთგული მოძრაობის პოზიციის საბუთა ჯართან მიმართებაში; საქართველოში დისლოცირებული საბჭოთა არმიის სტატუსის სამართლებრივი განსაზღვრა სახელმწიფოთაშორის ხელშეკრულების საფუძველზე, მისი ყოფნისა და გასვლის ვადების დადგენა. ამასთან, მან შესთავაზა რუს სამხედროებს, ვისაც ამის სურვილი ექნებოდა, ჯარების საქართველოდან გასვლის შემდეგ, სათანადო ფულადი ანაზღაურებით, დახმარებოდნენ საქართველოს სამხედრო კადრების მოზადებაში.

ნუ დაგვაიწყებება, რომ სსრკ მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა და ამგვარი სითამამის განცხადებებს მოსკოველი დემოკრატებიც კი აგრესიულ სემპარტიზმად ნათლავდნენ. საგულისხმოა, რომ საქართველოში ეს პროგრამა მკრეხელთადაც აღიქმეს როგორც "პერესტროიკული" სოციალისტის აპოლოგეტებმა, ისე - ულტრარადიკალმა კონგრესისტებმა. განა მაშინვე არ იყო ნათელი, რომ თი ეტაპზე ზვიად გამსახურდიას პროგრამა წარმოადგენდა რუსეთ-საქართველოს სამხედრო ურთიერთობების მშვიდობიანი გადაწყვეტის ერთადერთ სწორ გზას. სხვა თუ არაფერი, მაშინ ხომ სამანაბლოც ჩვენი იყო, აფხაზეთიც და სახეწარც არაფერი გეპონდა.

დღეს ქართული ჯარი არ არსებობს. ცხადია, იგი არც მაშინ არსებობდა, როდესაც ახლად წამოჩნდილი გვარდია ერთგულების ფიცს აძლევდა საქართველოს პირველ პრეზიდენტს; არც მაშინ, როცა მისი ერთი ნაწილი ტურეებს უშენდა მხედრობის ფიცის ერთგულ მეორე ნაწილს; და არც მაშინ, როდესაც აღტყინებული მიიწვედა ლესელიძისკენ. მაგრამ მაშინ ჯერ კიდევ არსებობდა ქართული ჯარის საჭიროების შეგნება.

პუტინის შემდგომი მმართველობის წლებში შეიარაღებული ძალებისა და ზოგადად ახალგაზრდობის მიზანმიმართული განწინის, გაკრიმინალიზების შედეგად საზოგადოების უდიდეს ნაწილში დაინერგა დანაშაულებრივი აზრი, რომ საქართველოს საერთოდ არ სჭირდება არმია და ქართულ კაცს საერთოდ არ შეიძლება ანდო იარაღი. ცინიზმით და სიყალბით გაუღენითილი იდეოლოგია ადამიანებში თრგუნავს ერთგულ და პოლიტიკურ ნებს ასეთივე და კიდევ უფრო სასტიკი ხერხებით ისპო ქართული მეომრის, მებრძოლის იდეალი, საერთო ბრძოლის, როგორც გადარჩენის ერთადერთი გზა იდეა. მასხადამე, ისპოა ქართული სახელმწიფოებრიობის საფუძველი.

საქართველოში კვლავ მეგობრისა და მოკავშირის ნიღბით შემოვის იარაღისხეული მტერი.

რომანოზ საგინაშვილი

## ბიზი კალაქალიძე სამხედრო ფიციის მართკულუმბოვის

ფრაბმენტები პოლიტკატიმრის სასამართლო ჩვენებიდან

1994 წლის 2 დეკემბერი

ომარბა გამიგო და მითხრა, სადაც შენ იქნები, მეც იქი.

7 იანვარს, შობა დღეს, მ. გორბანოვმა გამოაცხადა კომენდანტის საათი ცხინვალში. ეს კი, ჩემი აზრით, ნიშნავდა იქიდან საქართველოს ხელისუფლების განდევნას და ჩვენი დამოუკიდებლობის უარყოფას. მთავრობის სახეს წინ მიტრევი იყო. იქვე გავიგე, რომ მოხალისეები იკრიბებოდნენ შრომეულია და ვეტერანთა კლუბში, ქაშუეთის უკან და მეც იქ წავედი. ჩემს გარდა იქ იყო 50-60 ახალგაზრდა მოხალისე. როდესაც გაიგეს, რომ 14 წელი რუსის ჯარში ვიმსახურე, ცოტა გვეს თვალთაც კი შემომხედეს. ასე დაიწყო მოხალისეთა რაზმებისა და გვარდიის ჩამოყალიბება.

20 იანვრისთვის ორას კაცამდე შევიკრიბეთ. დაიწყოთ მორიგეობა. ჩვენ უხეხავს საბჭოს ვიცავდით უიარაღოდ. ემორიგეობდით რაში. როდესაც ვინმე გამოჩნდებოდა, მილიცია იმალებოდა ხოლმე, ჩვენ კი მაინც ვიძვებო.

შემდეგ გაგაცნეს ადამიანი, რომელიც ამ მოხალისეთა ჯგუფს უხელმძღვანელებდა - ვინმე თენგიზ კიტოვანი. მე, როგორც საომრად განწყობილმა მოხალისემ, წაუყუენე კიტოვანს მოთხოვნა - რატომ გვაჩერებთ აქ, როცა სამანაბლოში ყოველდღე ხალხი იხოცება-მეტოქი.

21-22 იანვარს მან გეთხრა, რომ სამანაბლოში შეგვიყვანდნენ, მხოლოდ საჭიროა ჩაგრიცხოთ მილიციის რიგებში, უნდა ჩაიცვათ ფორმა, გაიაროთ 10 დღიანი შეკრება და სამედიცინო შემოწმება.მართლაც, ყველანი გადაგვიყვანეს კაკულისთან გულანში, მილიციის სკოლასთან. ჩვენთან იყვნენ მოხალისეები ოსურგეთიდან, პოლკოვნიკ ლავარდ ბოლქვაძის ბიჭები. ხშირად მოდიოდა ვ. ჯაში, ნ.გორგაძე, ნ. ნათაძე და სხვები.

რამდენიმე დღის შემდეგ უკვე მივღეთ ბატალიონის სახელი. მეთაურად დაგვინიშნეს კაპიტანი გელა ლანჩავა. გავესაუბრე მას და ახლოს გავიცანი,

მეგობრები გავხდით. მილიციის სკოლაშივე ენახე პოლკოვნიკი ზაურ ლომიძე, რომელთანაც 8 წლის მანძილზე ემსახურებდი რუსის ჯარში. ლომიძემ მითხრა - ახლოს გიცნობ, სამხედრო საქმე იგი და თქვენთვის იარაღს რომ მოვიტანო, შენ უნდა ჩაგაბაროთ, შენზე ხანდა კაცს ვერ ენახავით. მაშინვე განუწყუხადე, იმ შემთხვევაში ჩავიბარებ, თუ იქნება სათავსო სიგნალიზაციით და ისე მოწყობილი, როგორც წესია.

ჩვენთან მოდიოდნენ პერადოლოგნიკი უჩავა, დღევანდელი გენერალი ჭანჭიკაძე. მოდიოდა თამაზ დუმბაძე, რომელიც ქარხანა "აგრეგატში" მუშაობდა, ახლა კი გენერალი გახდა. მას და მის მონადგოლე ზაზა ჩაჩუას ყოველდღიურად მიჰქონდათ 8-10 სასწავლო ავტომატი და ხდებოდა მათი გადაკეთება სამრძოლო იარაღად. მეორე დღეს კი უკან მოჰქონდათ გამზადებული.

ჩვენი წვეულებები რუსის ჯარში აღარ მიდიოდნენ, ხოლო გაწვეულები გამოიბოდნენ. შემდეგ მათ დევნიდნენ

და დეზერტირობის გამო სამხედრო ტრუნალებზე გაგყავდათ ე. წ. კომისიები. მე დაეაყენე წინადადება: გამოგვადგინა ტელევიზიით, რომ ვინაიდან ქართველი დამოუკიდებელი რესპუბლიკა და ჩვენ გყავლობდით გვარდამოქცეულებს რუსის ჯარში ყოველდღიურად სამსახურად ჩაეთვლებოდა და ჩვენთან ჩაირიცხებოდნენ. ეს წინადადება გაიხიარეს და,მართლაც, მე ახალგაზრდა ჩამოვიდა და ჩავეწერა არდიაში.

მე დროს მცხეთის მილიციის მართველის უფროსი ზეიკიძე იყო. და ასეთი ინციდენტი: მუხრანის მცხეთის მოსახლეები თავს ზეიკიძის მცხეთის მილიციას, აიყუენეს და ჩვენ განგაშით შეგვიკრიბეს. გაგვარსულეთ მილიცია და ზეიკიძე, მტრულად იარაღი. ეს იყო ჩვენი პირველი ოპერაცია.

გამოჩნდა ერთი ენერგიული მტერი (გაგრძელება მიამხე გვიმერძე)

არმოშობით ვარ ქარელის რაიონიდან. 1990 წელს სამანაბლოში დაბაბული სიტუაცია იყო და ეს მოვლენები აქტიურად შექმედებდა პრესით, ტელევიზიით. მე კავშირი მქონდა როგორც ცხინვალთან, ისე მის გარშემო სოფლებთან - იქ ჩემი ახლობლები ცხოვრობდნენ და დიდ აღშფოთებას გამოთქვამდნენ ქარელის რაიონის ოს მოსახლეობაზე, რომელიც პარტიზანულად ეხმარებოდა ცხინვალულ ოსებს. ამიტომ მათ დახმარებისთვის მომმართეს, მოხიჯეს ჩავსულიყავი ქარელში და ჩამომეყალიბებინა ქართველთა ჯგუფი. მაგრამ, სიმართლეს ვიტყვი, უარი ვუთხარი, ვინაიდან თუ ეს საკითხი ადრე თუ გვიან მთავრობის დონეზე იქნებოდა გადაწყვეტილი, შეიძლება ჩვენივეს და პირადად ჩემთვის იგივე სახელი დაერქვათ, რასაც ოს სეპარატისტებს უპახნენ.

1991 წლის იანვრის პირველ რიცხვებში მივედი ჩემს მეზობელ ომარ კოჭლამაზაშვილთან, დავეჩვეთ საუბარი ჩვენს სატყეარზე. წინა დღეს ახლად არჩეული უჩენავი საბჭოს თავმჯდომარე ზვიად გამსახურდიამ ტელევიზიით მიმართა ქართველ ხალხს და მოწოდდა ერთად დგომა, მოხალისეთა ჯგუფების შექმნა სამანაბლოს ქართველობის დასაცავად. მე ვიქე, რომ როგორც იქაურ კაცს, არ მაქვს უფლება გულხელდაკრეული ვიჯდე თბილისში და ტელევიზიით ვუყურო ქართველი ხალხის ბენოციდს.



# სსრ კავშირის პრეზიდენტს მ.ს. გორბაჩოვს

პატივცემულო მიხეილ სერგის ძე!  
ამა წლის 9 იანვარს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საგანგებო სხდომა, რომელმაც განიხილა თქვენ 7 იანვრის ბრძანებულება "საქართველოს სს რესპუბლიკაში 1990 წლის დეკემბერში მიღებული ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის გამო".

არ შეგეხებოდა წმინდა სამართლებრივ საკითხს, - ამასე დაპირა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილებაში, რომელიც უარყოფს თქვენი ბრძანებულების კანონიერ ძალას, - რადგან სსრ კავშირის პრეზიდენტსაც კი არა აქვს უფლება იურიდიული ძალა წაართვას საქართველოს რესპუბლიკის კანონებს. საქართველოს ტერიტორიაზე გარდამავალ პერიოდში მოქმედებს საქართველოს რესპუბლიკის კანონები. საქართველოს კონსტიტუციის 77-ე მუხლის თანახმად, სსრ კავშირის კანონებსა და რესპუბლიკის კანონებს შორის წინააღმდეგობის შემთხვევაში მოქმედებენ საქართველოს რესპუბლიკის კანონები.

თქვენი ბრძანებულებით გუთავაზობთ ყოფილი ოლქის ტერიტორიიდან გამოვიყვანოთ ყველა შეიარაღებული ფორმირება, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების გარდა. მაგრამ მხედველობიდან გამოგრაზოთ, ან ინფორმირებული არა ხართ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე ამ ჯარების გარდა, დისლოცირებულია საბჭოთა არმიის ნაწილებიც. რა უკუთ? თქვენი ბრძანებულების თანახმად მათაც არა აქვთ უფლება იმყოფებოდნენ აღნიშნულ ტერიტორიაზე და იქიდან გამოყვანილ უნდა იქნენ.

თქვენმა ბრძანებულებამ შეადარა მთელი ქართველი ხალხი, აგრეთვე რესპუბლიკის არაქართველი მოსახლეობა, უამისოდაც მტკიცებულად რომ განცილებს შიდა ქართლის - ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის რეგიონში მომხდარ ამბებს, ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკანასკნელი წლების მანძილზე ექსტრემისტთა ხელში, რომლებმაც ხელმძღვანელი პოსტები დაიკავეს ოლქის ხელისუფლების ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში, გადაიქცა ანტიქართული ისტერიის კერად, 1989 წლის ნოემბრიდან კი ფაქტობრივად და იურიდიულად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის პლაცდარმად, რაც იმის მომასწავლებელი იქნებოდა, რომ საქართველოს რესპუბლიკას წართვან მისი ოდინდელი ტერიტორია, რომლის შენარჩუნებისთვისაც ქართველი ხალხი 2000 წელზე მეტ ხანს იბრძოდა.

"სუვერენული რესპუბლიკის" შექმნისთვის ოსი ეროვნების ექსტრემისტთა მოქმედებას მაშინ, როცა ასეთი არსებობს კავკასიონის ქედს გადაღმა, არ შეიძლება არ გამოეწვია ქართველი ხალხის ერთსულოვანი წინააღმდეგობა.

მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არ არსებობს არავითარი "ოსეთის სამხრეთი". არის მხოლოდ შიდა ქართლის რეგიონი, სადაც გარკვეული დროითაც ცხოვრობენ ჩრდილოეთ ოსეთიდან გადმოსახლებული ოსი ეროვნების პირები, რაც დამტკიცებულია ქართველი ხალხის მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლებით. ეს ოდინდელი ქართული მიწა-წყალია, რომლის წართმევა საქართველო ხალხი არ შეურიგდება, სანამ ცოცხლობს თვით ხალხი.

საჭიროდ მიგვაჩნია ხაზგასმით აღნიშნოთ, რომ არც ერთი ეროვნული უმცირესობა საქართველოში არ განიცდის არავითარ შეზღუდვებს ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის განვითარებაში. ეს ფაქტია, რომლის შემოწმება ადვილია. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ხელმძღვანელობა ახორციელებდა ამჟამად დისკრიმინაციულ პოლიტიკას რეგიონში მცხოვრები მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიმართ.

და როცა ამ პირობებში ოსი ეროვნების სეპარატისტები შეუდგნენ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნას, ურთიმიხედვით თითქოს შეუძლებელი იყო რეგიონში მცხოვრებ ოსთა ეროვნული კულტურის განვითარება, ქართველი ხალხის მოთხოვნების ფილად აიყოს - ოლქის გაუქმება ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება გახდა შექმნილ სიტუაციაში. ამ აქტმა არა მარტო ერთხელ და სამუდამოდ ბოლო უნდა მოეწოდებინათ სეპარატისტულ მოქმედებას, არამედ აღადგინოს კიდევ ისტორიული სამართლიანობა.

შემდგომში მოვლენები კარგად მოგეხსენებათ, ისინი ჩამოყალიბებულია საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1991 წლის 9 იანვრის დადგენილებაშიც.

განსაკუთრებით მიუღებელია ბრძანებულების დებულება რეგიონიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფების დაუყოვნებლივ გამოყვანის შესახებ მაშინ, როცა აქ თარეშობენ ოსი ექსტრემისტები, ტერიტორია აშინებენ საქართველო მოსახლეობას. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ვერც ერთი სტრუქტურული სახელმწიფო ვერ დაუშვებს, რომ მის ტერიტორიაზე წარმოიქმნას სამართლებრივი ვაკუუმი, რომელიც იმთავობაში შეიარაღებული ძალები, მის ორისდობიერებას რომ არ ექვემდებარებიან და მისი სახელმწიფო ინტერესების სახიანოდ რომ მოქმედებენ.

ამა წლის 7 იანვრის ბრძანებულების შესაგვის აქტები ხელს არ უწყობენ ვითარების სტაბილიზაციას, არ აწვებენ დაძაბულობას რეგიონში, პირიქით, ამხნვევენ სეპარატისტებს, ექსტრემისტებს უბიძგებენ აქტიურობისკენ. სწორედ ამ ბრძანებულების შემდეგ, ვითარება რეგიონში დრამატულად გათულდა, დაიღვრა სისხლი. გვესმის, რა თქმა უნდა, რომ ძალით, რომელიც თქვენ გაქვთ, შეგიძლიათ სცადოთ ჩაახშოთ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში, მაგრამ როგორი იქნება ამ გამარჯვების ფასი?! და განა ეს გამარჯვება იქნება?!

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსთა უმრავლესობის ნებაა დაამყაროს რეგიონში მშვიდობა და თანხმობა, კვლავაც განათავაროს ეროვნული კულტურა, რისთვისაც სულაც არ არის საკლებული პირობები, რასაც ნათლად მოწმობს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკაში შექმნილი ვითარება, სადაც ეროვნულ - კულტურული ავტონომიის დონე გაცილებით დაბალია.

რაც უფრო ადრე მისხედებიან ხელისუფლების საკავშირო ორგანოები, თუ როგორია შიდა ქართლში ნამდვილი ვითარება, და სათანადო პოზიციას დაადგებიან, მით უფრო სწრაფად მოხდება მდგომარეობის სტაბილიზაცია რეგიონში.

საჭიროა სეპარატისტებმა გაიგონ, რომ მათ არ უნდა იქონიონ ცენტრის მხარდაჭერის იმედი და უნდა შეურიგდნენ დამარცხებას. დარწმუნებული ვარ, რომ სამართლიანობა გაიმარჯვებს!

**საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს  
თავმჯდომარე  
ზვიად გამსახურდია  
1991 წლის 12 იანვარი**

დავიწყებული სამაბლო. უფრო დიდი ტკივილებს გან მიჩქარა დიდი ტკივილი. მამა-პაპათა სამოსახლეობიდან აყრილი ხალხი. ეროვნული სულისთვის შეურაცხყოფილი ხეიმი გაბარებული ოსებისა. ნიშნის მომგები გამოხედვა რუსეთის კრემლიდან. ... და სამაბლოელი ბიჭების შურისძიებით სავსე დღეები და ღამეები. ... და საქართველოს იმედი: დაუგანგავი, მფუტყავი, სამართლიანი მრისხანებით სავსე.

1992 წლის 24 ივნისს, დაგომისში, ევლად შევარდნაძემ რუსეთთან ხელი მოაწერა ხელშეკრულება, რომლის ძალითაც სამაბლოში "მშვიდობა" დამყარდა. რეგიონში "სამშვიდობო ინტერნაციონალური" ძალები შეიყვანეს. მათ მიზანს დაპირისპირებულ მხარეთა დაშორებობა და იარაღის ამოღება შეადგენდა. ცხინვალს მიმდებარე ქართული ჯარი გამოიყვანეს კონფლიქტის ზონიდან. ასე გადაჩრა ხოსთა მთავარი გამაგრებული პუნქტი. "სამშვიდობო ძალებმა" მოქმედება დაიწყეს. საქართველოს ტელევიზია სიამაგით გვაუწყებდა, თუ როგორ იღებდნენ მოსახლეობისგან იარაღს "ინტერნაციონალური ბრიგადები". ტელევიზია არაფერს ამბობდა, თუ რა ხდებოდა "იქით",

# ამდგან არც ისე უბრუსაა გაზაღებოდა...

რადგანაც "იქით" არაფერიც არ ხდებოდა. იარაღს მხოლოდ ქართული სოფლების მოსახლეობას ართმევდნენ. ტყე-იამურქვევები, ავტომატები, მძიმე ტექნიკაც, რომელიც მოსახლეობას საკუთარი ფულით შექნდა შექმნილი, ან ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს მიღწეს თავიანთი სოფლებში, ხეობებში, გზების დასაცავად, ამ ბრიგადების ხელში გადადიოდა. იარაღის ჩამორთმევაში ყველაზე უფრო ქართული ფორმირებები აქტიურობდნენ. თავიდან არც კი სჯეროდათ სამაბლოელებს - ქართველები იარაღს როგორ წაგვარებოდა, მაგრამ როდესაც სიტყვას საქმე მოჰყვა და თბილისის ომის დროებმა და აფხაზეთის ომის მომავალმა "გმირებმა" სახლებში შევიარდნა დაიწყეს, ხალხმა იარაღი გადაძალა: ზოგმა მიწაში ჩაფარა, ზოგმა ტყეებში შეინახა. ამოღებული იარაღი კი ცხინვალისკენ მივიდა და ნარკოტრეფი იცვლებოდა.

შევიარდნა და მისი ტელევიზია უწყობნოდ დადგნენ მტრის მხარეზე. საქართველოს ტელევიზია თითქოს ყოველდღე აცხადებდა საზოგადოებას ქართველია "ენით აუწერელი სისასტიკის", "დაუნდობლობის" შემზარავი ფაქტების შესახებ... - საწყალი თავისუფლებისთვის ყური მოუთავათ, იქ ბერჩა დარჩა უცხვიროდ, გაბულივი სკვესო... ოს ქალებსა და ბავშვებს ხომ შებრალებდა არ ჰქონდათ და არ ჰქონდათ...

ამ კონტექსტში გავისხნით ერთი ფაქტი. 1992 წლის გაზაფხულზე სოფელ კეხეთან, დღესაც დაუდგენელმა პირებმა ოსი მგზავრებით სავსე ავტობუსი დაცხროდნენ. უმალ ტელევიზიით გამოხდოდა ე.შევიარდნაძე. ღრმა ჭმუნვას შეეპყრო მისი სახე, თვალები კი მრისხანებას ასხივებდა. ფაშისტები ვართო, - ბრძანა, - ეს ამავე არ უნდა გვეპატოს, ოსთა სიცოცხლის ხელყოფის სამრედი შემთხვევის შესახებ მთელ მსოფლიოს უნდა ეუწყოსო... გოგა ხაინჯრავას ტრადიციებზე გაზრდილმა ჩვენმა ტელევიზიონალისტებმაც არაერთი გულსამაჩუყებელი გადაცემა უძღვრეს კვირის ტრადიციას.

იმვე წელს სოფელ ოსურისთან მოხდა შეტაკება ქართველებს და ოსებს შორის. მტრმა რვა ქართველი ვაკაცი დააღწევა. ბიჭები დაჭრილები იყვნენ, ცოცხლები. ოსებმა ჯერ სასტიკად აწამეს, მერე კი ჯვარედინად დააწყვეს, ბენზინი გადაასხეს და დაწვეს "პატარა მუთაქით მოიტანეს ჩემი დამწვევი ბიჭი, იმის მეტი აღარ დარჩენილიყო ჩემი ვაკაცი, ჩემი გურამი - ამბობს გურამ გოგიშვილი, გოგია გოგიშვილი, - ერთი სამძიმარი მაინც ეთქვათ, პირიქით, ჩვენი ბიჭები გაამტყუნა შევიარდნაძემ. ცხინვალში წავიდა, გზად, დამწვევი ბიჭების ადგილზე მანქანაც არ გაუჩერებია. ოსებთან უკვე არაფერი. ყასიდად მაინც გადავხუჯიანო. თორემ რა გულიც ჩვენზე აქვს, ყველამ კარგად ვიცით!"

ასე, ქართველები ყოველთვის დამნაშავეები არიან, ოსები ყოველთვის მართლები. ქართველის დამცირება, მიწასთან გასწორება, ცოცხლად დაწვევა კი არაფერია, მკვლელობა ოსის მოკვლა კი ტრადიციული, ქართველთა "ფაშისტური ბუნების" დასტურია. შედრე სამაბლოს

მოსახლეობა. ყველაზე მწარე აღმოჩნდა ის იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება მტრის მხარეს გადავიდა, მტერი კი აურაცხელი იყო - გინდ ოსი, გინდ რუსი და... გინდ ქართველი. გამწარებული სამაბლოელი ბიჭების ცხინვალში ღრმად მთელ საქართველოში გაიშალა და უმასხოდ ჩაიკარგა რუსეთის მარიონეტების მიერ ახორბეულ ქვეყანაში.

უმბოლოველად დამარცხებული, თავისი სახელ-კარდან აყრილი ქართველობის ნაწილი თბილისში, სასტუმროებშია უპატრონოდ მიყრილი, მთელი ნაწილია, რის ვაი-ვაგალბით, ახალი საცხოვრებელი გაიჩინა და ქართულ სოფლებს შევიხარა. და მაინც, ყოველთვის მიუხედავად, მათ ბოლო დრომდე ჰქონდათ იმედი, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდნენ თავიანთი სამშობლოში, ბრძოლით მოპოვებდნენ მამა-პაპის მიწას ცხოვრების უფლებას. მარიონეტებს საქართველო განადგურების ახალ ფაზაში შეჰყავთ. ახლა ეს იმედიც იწურება. სამაბლოელები ნელ-ნელა ეგვევიან თავიანთი დამცირებულ ყოფას. ან რა ხმა ამოეღებათ - ისინი ხომ "ფაშისტები", "მკვლელები" და "დამნაშავეები" არიან. ან კი როდის ყოფილა ქართველისა სამაბლო. იმ მიწაზე ხომ უსხვარზე უსხვარი დროიდან ჯაკო ცხოვრობდა...

ამაწინაა, კიდევ ერთი რებორტაჟი გადაცა საქართველოს ტელევიზიით ოს "შევიარდნაძის" შესახებ. დედაქალაქელი ადამიანის უფლებათა დამცველები ერთ-ერთი ევროპულ სამართალდამცვე ორგანიზაციას გაუხადნენ კახეთში - მოდით, გიჩვენებთ გამსახურდიას "პროვინციული ტერორისტების" მიერ ჩაგრული უწყინარი ოსების მდგომარეობა როგორ კარდინალურად გამოვასწოროთ. კერძოდან ოსნი გვემუქრებოდნენ, - ეს ერთი გვიპატებოდა, მეორედ აღარ გაბედით ჩვენი შევიარდნაძე; თავისუფლებაზე ვიჭრს გულშიც წუდარ გაიფლავებთ. ერთმა ნუდმეტად გახალისებულმა "ბავთარის ჩამოშავაძმა" ტელეკამერის წინ შეიკუნტურმა კიდევ. ტაში შეიპოვრა: პ. როგორ იყ, "ზვიად, ზვიადს" რომ იძახდით - "ცოდებო" შეგახსენა. საკვლელო ოსების წინაშე "ჩვენმა" ბიჭებმა დანაშაული იგონეს, სირცხვილით თავები ჩაქინდნენ, - ჩვენი რა ბრალია "პროვინციული ფაშისტთა" ცოდვები. ჩვენ სხვანი ვართ - ევროპისა და მსოფლიოს ინტეგრაცია ჩვენი მიზანია...

მთელ ამ "ტორელანტურ" (შევიარდნაძის გამოთქმა გახლავთ) კამპანიის დოკიური დასასრული უნდა ჰქონოდა და თორივე კვირის წინ მოქალაქეთა კავშირის მიერ ეროვნულ უმცირესობათა გამართულ შეხვედრაზე გამოხდობის, საქართველოში ინტერნაციონალური დამარტორის (ესეც შევიარდნაძის გამოთქმა) შექმნის უკვდავი იდეის ავტორმა განაცხადა: უნდა გამოეყვადო, დამნაშავენი რომ ვართ, უნდა ვვახლოთ ოსებს და ბოდიში მოვუხადოთ...

ამ ბოდიშმა შევიარდნაძისადმი ზიზღით აკანკალა მთელი სამაბლო. "შევიარდნაძის" შეუძლია პირად ვისაც უნდა, იმას მოუხადოს ბოდიში, ქართველების სახელით კი ნურავის ებოღებოდა. ქართველი ვართ თავად აგებს ოსები გაკეთებულ საქმეებზე პასუხს, მიიუშვებენ, რომ არავითარი დანაშაული არც ოსების და არც სხვა რომელიმე ერის წინაშე არ მავიძობის. ოსებმა იმდენი და ისეთი ვანდალიზმი ჩადიდნენ, რომ სახელმწიფოს მთავარი, თუ ის ნორმალური ადამიანია, ამას არ უნდა ამბობდეს. ყველა სამაბლოელი ასე აქტიურობს. ოსებმა იმდენი დანაშაული აქვთ ჩვენს წინაშე, რომ მე ვერ წარმოვიდგინა, როგორ უნდა ეპატოთ. ამ დამცირებულ მდგომარეობას ჩვენ არ შევიარდნაძემ. მაგრამ ძალაც არ გვაქვს, განიარაღებული ვართ. ჩვენი დაბეჭევა კომუნისტების დროიდან, განსაკუთრებით შევიარდნაძის მიმართობის ხანიდან დაიწყო. მაშინ დაიკვება და დღეს რენეგატის და გამაყდველის ხელით შესრულდა სამაბლოს "კანონიერი" ჩამოშორება საქართველოსგან" (ელენე ქრისტესიაშვილი).

"უძლიერი ყოველთვის ბ... ბბრალიანა" - ენას უციფებს გაქვლილი და პატივყრული თეიმურაზ ხევისთავი. "ჯაკომ ცოლი არ ვიცის... მამა, მამა! ყველაფერი ჩვენია, ჩვენი! დედას გიტრებდით, დედას!" - გრვინავს ჯაკო.

ბოლო სამი წლის განმავლობაში შევიარდნაძის ხელისუფლება მუხლანურ-

ლად მოღვაწეობდა სამაბლოს ქართული მოსახლეობის დაუფლურებისთვის, მისი ნების და ღირსების დაქვეითებით. გუნვისთვის. მეორეს მხრივ კი, ყველაზე ნაირად ცდილობდა "ოსებს" შექმნილ მრევლებს, სოფლებს მათ დასაბრუნებლად ცხინვალში, კახეთში, ბორჯომის ხეობაში. მე თავად სწორად მისაუბრა ვლადიკავკაზში აქედან გაქცეულ ოსებიან და ვიცი, რა სიყვარული აქვთ შევიარდნაძისა. ერთმა ოსმა შემომადგა: მამა არ იბრუნებს შეილებზე ისე, როგორც ეგ სოფლებს ჩვენზე. ამ სოფლებს კი თავისი შედეგები მოაქვს: ჯაკომ დონიან შემოიღო და ყოველ წინადადებას ასე ამთავრებს: დედას გიტრებო... ფულსაც ისევ აფროვებენ და გზავნიან იმ ცენტრში, რომელიც "დიდი ალანის" შექმნისთვის იფვის.

ოსები მიხედნენ რა, რომ საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული, ყოველნაირი საშუალებით აფერხებს ქართველთა დაბრუნებას მშობლიურ კუთხეში, გადაადგნენ. ყოველი დილა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის მიმნი იწყება ცხინვალში, ოსური დროსა ფრიალებს "სამხრეთ ოსეთში". ამ დროშით შედიოდნენ ქართველთა სახლებში, წვაენდნენ, ძარცვავდნენ, კლავდნენ, ნაბუსს ხდიდნენ. მათ

ყველაფერი შერათ: ქართველი ბიჭების დაწვევა და აკანკალი მწოლარე ბავშვების დახრბობაც. ახლა შევიარდნაძის "ტორელანტური" პოლიტიკა ამხედბთ - მომავალშიც ყველაფერი შეგრეობათ და კვლავ განახლდა თარეში უიარაღოდ დარჩენილ ქართულ სოფლებში - იტაცებენ საქონელს, ძარცვავენ მოსახლეობას, ოს "პოლიტიკოსებს" გორისკენაც გამოიზიდათ თვით. ისინი საუკეთესოდ არიან შეიარაღებული. როგორც მოგახსენეთ, "სამშვიდობო ძალები მათ იარაღს არ ართმევდნენ, პირიქით. ვიდრე რუსეთის ჯარი საქართველოს ტერიტორიაზე იდგება, მათ ამ იარაღს არავინ წაართმევს. შევიარდნაძისთვის მთავარი საცემისე "პროვინციული ფაშისტია" და "დიდი ოსეთის" შექმნის მოტრფიალე ოსის თოვთ სწორედ ამ "ფაშისტთა" დამინებელი.

ქართველებისთვის ოსთა ორგულბა და დელტა უცხო არ არის. ისინი, როგორც წესი, მაშინ უპირისპირდებოდნენ ქართველებს, როდესაც აქ უკანსკნელთ დიდი განსაცდელი ეწვეოდათ ხლემე. ასე იყო ისტორიულად, ასე იყო ამ საუკუნის დასაწყისშიც, - მტერთა მიერ ყოველმხრივ შევიარდნაძე ახლად შექმნილ სახელმწიფოს ოსებმა სურვილს მახელი ჩასვეს და დამის მცხეთასთან დაკედდინეს სახლვარი, სვეტიცხოველი კი ოსური კულტურის (?) ძეგლად გამოაცხადეს.

ჩვენ მოწმენი ვართ ოსთა გაუგონარი მუხანათობისა ბოლო წლებში. ამ ომმა გამოიარჩა, თუ რა ზიზღს ინახავდნენ ისინი ქართველთა მიმართ. ამ ომმა საბოლოოდ დაგვანახა, რომ მონური "სენი წიბი" უმალ ჯაკოსულ "დედას გიტრებო, დედას"-დ გადაიქცევა, როგორც კი სისუსტესა და დევრობილებმა შეგატყობს "პირგაპარსული" ჯაკო.

ჯაკოსადმი, ჯაკობისადმი დამორჩილების შედეგი კი "შეზარავი და თავ-სარდაცვილია. ჯაკობისადმი დამორჩილება არის სენობრივი, მორალური დაცემა, გათავისებება და ადრე თუ გვიან იგი მონობით დასრულდება. სამაბლოს ამხედბენ ამ მონობისთვის ისევე, როგორც მთელ საქართველოს. აქც ისევე, როგორც საქართველოს ნებისმიერ სხვა კუთხეში, პატივყრული და დაორბუნებულია ქართული და ქართველი, წახალისებული და ქება-დიდებათ შემკულია ყოველივე ანტიქართველი.

... მაგრამ სამაბლოელები ჯერ არ გატეხილან, ჯერ კიდევ მაგრობენ, ან კი "გატეხით რა იქნებასი". კიდევ ორ-დობიან და გაიხედებიან ქრისტესწავილები, ვეღვაშელები, ბერაშელები, ყულაშელები, გოგიშელები, ოქროპირიები...

სამაბლოში მომავალი დიდი ბრძოლებისთვის ემზადებიან; მათ არ სურთ "რუსული მშვიდობა". დამარცხებულთა მშვიდობა. სამაბლოელი ელოდება ოსენ გმირის დაბეჭებას, გამარჯვებისთვის რომ გაიყოლებს ხალხს და შეღასულ ღირსებას აუდგენებს დაცემულ საქართველოს.

აქედან არც ისე შორია პასაღუ-თამდე...

დ. გიგაური

დ. გიგაური



კანონმდებელი აუცილებელია თუნდაც იმიტომ, რომ საზოგადოების იმ ნაწილშიც კი, რომელიც არ ცნობს არსებულ რეჟიმს...

ჩვენი აზრით, ყოველივე ეს ერთ მიზანს ემსახურება: საყოველთაო დაბნეულობის, უიმედობის ფონზე კონფორმისტული განწყობილების შექმნას და ხალხის დარწმუნებას, რომ ქვეყნის შევლა მხოლოდ ახალი, "კარგი" ხელისუფლების არჩევითაა შესაძლებელი.

ამ ილუზორული თეორიის პროპაგანდისტებად ძირითადად გვევლინებიან პუტჩის შემდგომ, აგრეთვე ბოლო ხანებში წარმოჩენილი დაჯგუფებები, რომლებიც თითქოსდა მილიანად იზიარებენ გადატრიალების ჩვენებულ შედეგებს...

ამ ილუზიის დაწვრივას ხელს უწყობდა თავად ხუნტის პროპაგანდაც, მაგალითად, გ. ჭანტურას ცნობილი განცხადება, რომ "სეიდანსებები" მოვლენ არჩევნებზე, რათა დაამარცხონ დემოკრატები და პარლამენტში თავიანთი ძალები გაიფანტონ...

დღეისა და დღეის პირობებში ავტორიტარულ ხალხისთვის უფრო "სანდო" პირებს ირჩევენ, ავტორიტარული საშუალებებიც ამ შემთხვევისთვის უფრო "სამომხელაა" - არა ტელევიზია, რომლის მიმართ უნდობლობა თავად პუტჩისტურ საზოგადოებას მოეძალა, არამედ ხალხში საუბრები, ჭორები, ფსევდო-ეროვნული ძალების დარაზმვა, სპეკულირება პრეზიდენტის სახელით, მიმართვებით, პორტრეტებით...

რა იყო გუშინ

არჩევნებში მონაწილეობის აუცილებლობას სხვადასხვა ძალები თითქმის ერთი და იმავე მოტივებით ხსნიან, მაგრამ თითქმის ყველა მათგან არგუმენტად იყენებს ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ პრაქტიკას:

- მანაც ხომ მიიღო მონაწილეობა კომუნისტურ არჩევნებში და გაიმარჯვა კიდევ.

ზვიად გამსახურდიამ თავის დროზე ამოწურავე პასუხი გასცა ე.წ. კონგრესში ოპონენტებს, რომლებიც მას ამის გამო კოლუმბოვანი იმედი სდებდნენ ბრალს (და რომლებმაც მოგვიანებით არც ორჯონიკიძის გზა ითაკილეს და არც "ქურდული გაგების" არჩევნები!). მოუხდევად ამისა, ჩვენ საჭიროდ მივიჩნევთ მაცდური სახით მოტანილი ეს დებულება საგანგებოდ განვიხილოთ.

- უპირველეს ყოვლისა, ვიდრე ზვიად გამსახურდია და მის გარშემო შემოკრებილი ეროვნულ-პოლიტიკური ძალები მონაწილეობას მიიღებდნენ კომუნისტური უმადლესი საბჭოს მიერ დანიშნულ არჩევნებში, მათ საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოახდინეს მოსახლეობის მობილიზება და ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის საერთო სახალხო მოძრაობის აღზევება. ეს იყო იმდენად მასობრივი და ყოვლისმომცველი პროცესი, რომ

იქნება თუ არა საქართველოში მომავალი არჩევნები, არავინ უწყის: არ არის გამოცხადებული, არსებულმა რეჟიმმა საერთოდ უარი თქვა ხელისუფლების ფორმირების ამგვარ პრაქტიკაზე, მით უფრო, რომ ყველასთვის ისედაც ნათელია - ისინი არ ამირებენ ძალაუფლების დათმობას, ხოლო რაკი მათი რეალური რეიტინგი უკვე მინუსების შკალაზე მერყეობს, მმართველობის სადავების შენარჩუნება მხოლოდ ფალსიფიცირებული, წინასწარ ნაყიდი არჩევნებით იქნება შესაძლებელი. მაშ რაღა საჭიროა თავის მოტყუება, დემოკრატიზმის თამაში, ფულის ხარჯვა საარჩევნო კამპანიაზე და ა. შ.

არ არის გამოცხადებული მეორე ვარიანტიც: დეპუტატთა ყაყანი და პრეტენზიებით თავმოებურებულმა შეგარდნამ საერთოდ დაშალა პარლამენტი. ამის შეფარული სურვილი მან უკვე გამოთქვა კიდევ 22 მარტის სხდომის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში. საუბრალია, ეს ნაბიჯი არ იქნება აღქმული საქართველოში დემოკრატიის შეზღუდვად, რამეთუ ყოფილ საბჭოთა სივრცეზე პრეცედენტი უკვე შედგა - ესაზხეთის პრეზიდენტმა ნახარბაევმა დაითხოვა პარლამენტი, ბელორუსიის პრეზიდენტმა კი მოუწოდა ხალხის რჩეულთ თვითონვე მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთი უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე - და არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა მტკიცებულად

აღქმული არც დსთ-ს წევრი ქვეყნების, არც დემოკრატიის მმართველი წრეების მიერ.

მიუხედავად ამისა, ყველა არჩევნებზე ლიბერალური, კველა არჩევნებისთვის ემზადება. მეტიც: არჩევნებისადმი დამოკიდებულება ორმხრივი საეკულაციისა და, ზოგჯერ, ფსიქოლოგიური ტერორის იარაღადაც კი იქცა. რიგი პოლიტიკური ძალები, არსებითად, უკვე ჩაერთნენ წინასწარჩვენო კამპანიაში, მეორე ნაწილი კვლავ ბოიკოტის პრინციპის ერთგული რჩება. მაგრამ არაიან ისეთებიც, ვინც მერყეობს, ან ბოლომდე არ ამკვავნებს თავის პოზიციას; ისეთებიც, ვინც უკომპრომისობის დეკლარირების მიუხედავად, არც მკაფიოდ განმარტავს არჩევნებში მონაწილეობის დამლუკველობას და არც ქმედით ნაბიჯს დგამს, რათა ბოიკოტი ვიწრო წრეში გაცხადებული პრინციპის მაგივრად რეალურ საერთო-სახალხო დაუმრჩილებლობაში გადაიზარდოს. ეს ვითარება ყველაზე მეტად სწორედ მათ წიქვილზე ასხამს წყალს, ვინც ხელისუფლებასთან გარიგების სურვილს ეროვნული მოძრაობის უსუსურობით ხსნის.

ამიტომაც, რაოდენ ნაადრევაც არ უნდა გვეჩვენოს, თავს ვალდებულად გთვლით, ანტისაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, მკაფიოდ და ცალსახად განვმარტოთ,

რ ა ტ მ ა რ მ მ ნ ო ბ ო  
ხ უ ნ ტ ო ს ა რ ჩ მ მ ნ მ მ ს

მან თავის ნებას დაუმორჩილა თვით ეროვნული უმცირესობებიც და საზოგადოებაში გამოკვეთილი პოლიტიკური ორიენტირები დაამკვიდრა. ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და პირადად ზვიად გამსახურდია უკვე 1990 წლის არჩევნებამდე განსახლვრავდა პოლიტიკურ ვითარებას, რომელშიც მიმდინარე მოვლენებს რეალურად აკონტროლებდა პოლიტიკურად აქტიური, იდეურად მომართული მოსახლეობა.

ამიტომაც უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, რომ ეროვნულმა მოძრაობამ არჩევნებში გაიმარჯვა თავად არჩევნებამდე გაცილებით ადრე სწორედ ერის გამოდგომების, მისი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის აღზრდის გზით. და ამ გამარჯვების გარანტი იყო თავად ხალხი, მისი შინაგანი თავისუფლების ხარისხი, რომელიც - გადაჭარბების გარეშე შეიმძღვება ითქვას - მიღწეული იქნა სწორედ ზვიად გამსახურდიას ყოველდღიური, დაუღალავი გარჯის შედეგად. 1990 წლის 28 ოქტომბერს მხოლოდ იურიდიულად გაფორმდა ამ ტიტანური შრომის შედეგი.

ამის მიღწევა შესაძლებელი გახდა მოუხედავად გადემოკრატებულ კომუნისტთა აქტიური "პერესტროიკული" პროპაგანდას, რომლის არსენალიც ძირითადად ეკონომიკური სუბრენტებისა და არსებული ინტეგრირებული სისტემის რეფორმირების ტერმინოლოგიით შემოიფარგლებოდა, ანუ არსებითად იმპერიის განახლების იდეით.

- ზვიად გამსახურდიამ, 25 მარტის წმინდა კომუნისტური, ერთპარტიული არჩევნების ბოიკოტისა და ჩაშლის შემდეგ (რაც დღემდე ვერ მოუნელებია ბევრ ფსევდო-დემოკრატს), აიძულა გუმბარაძის მმართველობა: ელარებიანა 1921 წელს საქართველოს ოკუპაცია-ანექსიის ფაქტი და შემდგომი 70-წლიანი პერიოდი განესახლვრა როგორც ოკუპირებული ქვეყნის მდგომარეობა; დაენიშნა საყოველთაო მრავალპარტიული არჩევნები; მიედო დემოკრატიული საარჩევნო კანონი, რომელიც საშუალებას აძლევდა ყველა მეტ-ნაკლებად ანტი-საბჭოთა ძალას თანაბარ პირობებში მოეპოვებინა მისი შესატყვისი ადგილი ახალ პარლამენტში.

სწორედ ზვიად გამსახურდიას და "მრავალი მაგიდის" პოლიტიკურ ორგანიზაციათა ძალისხმევით, და არა გუმბარაძის კეთილი ნებით, იმხანად

საქართველოში შეიქმნა დემოკრატიული სამოქმედო სივრცე, რომელშიც ნებისმიერ პოლიტიკურ პარტიას საკუთარი პრეტენციების გამოვლენის შესაძლებლობა მიეცა.

- დაბოლოს, 1990 წლისათვის უკვე არ არსებობდა საქართველოს კანონიერი, 1921 წლის ოკუპაციის შედეგად განდევნილი ხელისუფლება და ეს პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა სტატუს-კვოს აღდგენას.

გარდა ამისა, როგორც შემდგომაც დადასტურდა, ქვეყანაში იმხანად (ახლაც და ყოველთვის) არსებობდა ორი კონკურენტუნარიანი ურთიერთ-დაპირისპირებული ძალა - კომუნისტები და ნაციონალისტები. შესაძლო დაჯგუფება ე. წ. დემოკრატებისა არსებითად პირველის სახეცვლილი, თანაც მცირერიცხოვანი, დაქსაქსული განსტოებაა, რომელიც დაპირბობდა ყველაში ვერასოდეს მოიპოვებს ვერც ხალხის დიდ მხარდაჭერას, ვერც სოლიდურ რაოდენობას პარლამენტში. 25 მარტის არჩევნების შედეგი დაახლოებით ისეთივე იქნებოდა, როგორც 11 ოქტომბრისა: კომუნისტური უმრავლესობით და ფსევდო-დემოკრატიული უმცირესობით, რომელსაც ჯერაც არ მოუხდია დისიდენტობის საქმწავილი სენი.

საბჭოური "პერესტროიკის" იმ ადგილად ეტაზე, იმპერიისთვის პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა, რომ უნ რესპუბლიკებში ჰყოლოდა, ერთის მხრივ, მოსახლეობის განწყობისთვის შესატყვისი, მეორეს მხრივ კი - ცენტრის მიმართ დოიადღური ხელისუფლება, რომელიც განეიტრატლებდა ვითარებას, მოუშვებდა ჭანჭიკებს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის იდეის საპირისპიროდ, საზოგადოების ყურადღებას გადაიტანდა დემოკრატიული იდეალებისა და სოციალური კეთილდღეობის მიღწევაზე, განმათავისუფლებელ ძალებს კი ბუნებრივად მოაქცევდა პოლიტიკურ ობოლაციაში. სწორედ ამისთვის იყო შემუშავებული კონგრესის ვითომდაც რადიკალური, არსებითად კი - აბსურდული იდეა.

ამიტომ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩართვა არჩევნებში, თანაც მისი ძალისხმევით შექმნილ მეტად მომგებიან ვითარებაში, გამართლებული იყო როგორც პრაქტიკული, უფრო ზუსტად კი - ტაქტიკური თვალსაზრისით, ისე პრინციპული იდეური მოსაზრებებით.

ამის ალტერნატივად კონგრესის მანით შეპყრობილი ფსევდო-რადიკალები საზოგადოებას სთავაზობდნენ პარალელური არჩევითი და მმართველობითი სტრუქტურების ჩამოყალიბებას, რაც სამოქალაქო ომის გზას წარმოადგენდა. მათ ეს იდეა მოგვიანებით განხორციელეს კიდევ, მაგრამ არა კომუნისტური მმართველობის, არამედ ხალხის მიერ არჩეული კანონიერი უზენაესი საბჭოსა და პრეზიდენტის წინააღმდეგ.

ბოიკოტის აუცილებლობა

დღევანდელი ვითარება სრულად განსხვავებულ პირობებს გვთავაზობს და, შესაბამისად, სრულიად სხვა გადაწყვეტილებებს გვკარნახობს.

პირველი და ნებისმიერი პოლიტიკური ძალისთვის გასათვალისწინებელი პირობაა ის ფაქტი, რომ დარღვეულია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, საქართველოს იურისდიქცია (განურჩევლად იმისა, კანონიერად მივიჩნევთ თუ უკანონოდ თბილისში არსებულ მმართველობას) არ ვრცელდება ქვეყნის ტერიტორიის მნი-

შენელოვან ნაწილზე. ამდენად, არჩევნების ჩატარება დარჩენილ ტერიტორიაზე ნიშნავს ფაქტობრივი ვითარების იურიდიულ გაფორმებას. ამ შემთხვევაში სოხუმსა და ცხინვალში არსებული რუსეთის მართებელი რეჟიმების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე განხორციელებული ნებისმიერი პლემბისციტი იძენს იურიდიულ ძალას, ვინაიდან ორივე მხარე (ერთ შემთხვევაში, ქართულ-ოსური, მეორეში - ქართულ-აფხაზური) შტოვი შეთანხმებით აფიქსირებს მათი იურისდიქციის გავრცელების არეალს. მომავალში ეს გარემოება სეპარატისტული რეჟიმების მმართველთათვის, შესაძლოა, საერთაშორისო დონეზეც კი მყარ იურიდიულ არგუმენტად იქცეს.

მეორე პირობა საქართველოში არსებული ფაქტობრივი ხელისუფლების არალეგიტიმურობა, უკანონობა, ოლნდ წენ ზუსტად და კონკრეტულად უნდა განესაზღვროთ ამ უკანონობის მასშტაბები. ეს ხელისუფლება უკანონოა, ვინაიდან:

- იგი დამკვიდრდა კანონიერი ხელისუფლების შეიარაღებული გზით განდევნის შედეგად;

- იგი სამართალმემკვიდრე უკანონო "სამხედრო საბჭოსა" და "სახელმწიფო საბჭოსი";

- 1992 წლის არჩევნები დაინიშნა და ჩატარდა უკანონო ორგანოს, "სახელმწიფო საბჭოს" მიერ მიღებული არადემოკრატიული კანონის საფუძველზე, საგანგებო სამხედრო მდგომარეობის დროს, ხალხის ნების დათრგობისა და ტერორის პირობებში. საერთაშორისო შეთანხმებებისა და არჩევნებში მონაწილე პარტიების მიერ დაფიქსირებულ იქნა თავად ამ საარჩევნო კანონის უნებოდ დარღვევის, ფალსიფიკაციის, მოსახლეობაზე ძალადური ზეწოლის მრავალრიცხოვანი ფაქტი;

- არჩევნები არ ჩატარებულა ქვეყნის ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე და მას ბოიკოტი გამოუცხადა მოსახლეობის უმრავლესობამ.

მაგრამ ეს დებულებები ცხადყოფს არსებულ ხელისუფლების უკანონობის მხოლოდ ერთ, ასე ვთქვათ, მის ქვეყნისშიდა ასპექტს. მეორეა ის, რომ არსებული ხელისუფლება დამკვიდრდა უცხო ქვეყნის, რუსეთის სამხედრო ძალის დახმარებით, მისი მხარდაჭერით მართავდა და მართავს ქვეყანას, იყენებს რუსეთის სამხედრო ძალას თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად, აწარმოებს მასთან ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მმართველ დიპლომატიურ ურთიერთობებსა და სახელმწიფოებრივ პოლიტიკას, ინტეგრირებულია მისი პოლიტიკური და სამხედრო-სტრატეგიული ინტერესების სივრცეში, თვალსაუშვას და არ აძლევს შესაბამის შეფასებას რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს ამ თუ იმ ტერიტორიაზე, სეპარატისტულ რეჟიმებზე დაყრდნობით, განხორციელებულ სამხედრო აგრესიას, რასაც შედეგად მოჰყვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფა, ამ რეგონებში ქართული მოსახლეობის მასობრივი დეპორტაცია და გენოციდი.

ფაქტობრივად, არსებული მმართველობა წარმოადგენს რუსეთის სამხე-



# 9 აპრილი თავისუფალი საქართველოს დღი



დრო აგრესიის შედეგად დამკვიდრებული მარიონეტულ საოკუპაციო რეჟიმს და მის მიერ დანიშნულ არჩევნებში მონაწილეობა, მის და მისი პოლიტიკის სამართალმემკვიდრედ ხდის ნებისმიერ პოლიტიკურ ძალას.

რაც შეეხება იმ ეროვნულ-პოლიტიკურ პარტიებს, რომელიც კანონიერი ხელისუფლების საფუძველს წარმოადგენს, მათი მონაწილეობა არჩევნებში უმპრობისად კი არ იწოდება, არამედ შეიძლება შეფასდეს როგორც კოლაბორაციონიზმი და დაღუპული ერიუმის მძიმე მემკვიდრეობასთან ერთად ეროვნული მოძრაობა იტვირთავს მათ წარსულ დანაშაულს და დიდ ცოდვას მომაველის წინაშე, რამეთუ არჩევნებში მისი ჩართვა ნიშნავს ოკუპაცია-ანექსიისა და მისი მთელი შედეგების დაკანონებას და ამით მომავალ საუბრეს ეკარგება სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრინციპზე დაუქნებული სამართალმემკვიდრეობის დღევანდელ შანსს.

### გავარტყან... - ვისთან?!

ჩვენი აზრით, ამჟამად საკითხს უკავშირდება იმ ხანებში მოხდებული ტენდენცია ე.წ. სასოციალისტო ოპოზიციასთან ალიანსების შექმნისა და ოპოზიციის მოწოდებები გაერთიანებისკენ, რომელიც ასევე დახუნძულია იდეოლოგიურ არგუმენტებით: მთავარია, ნებისმიერი გზით მოვიშოროთ ევროპა და მერე სხვებს ავდივით მოვდრეკთ, ერთ მანც ვერაფერს გავხდებით, ქვეყანა იფუნჯება, ესენი (ანუ ოპოზიციის) დანაშაულებზე ეროვნულ ბრძოლაში მონაწილეობა და სხვა.

ჩვენ არ ვიზარებთ ამ მოსაზრებებს, რომელიც იმდენს შეჰადგებდა არა მხოლოდ უპატიოსნობას, არამედ პრიმიტივიზმსაც.

